

საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში: პოლიტიკური პარტიების თვალსაზრისი

Constitutional Reform in Georgia: Insights from Political Parties

ანგარიში მომზადებულია CRRC-ს მიერ

ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტისთვის (NIMD)

A report prepared by CRRC Georgia for the Netherlands Institute for Multiparty Democracy

ეს პუბლიკაცია არ გამოხატავს რაიმე სახელმწიფო ან პოლიტიკურ ინტერესს. პუბლიკაციაში ასახული მოსაზრებები არ არის აუცილებელი ასახედეს NIMD-ის, CRRC-ის ან მათი მმართველების მოსაზრებებს.

This publication is not a reflection of any specific national or political interest . Views expressed in this publication do not necessarily represent the views of NIMD or CRRC.

Netherlands Institute for
Multiparty Democracy

ოქტომბერი
October
2010



შინაარსი

შინაარსი	2
წინასიტყვაობა	3
შესავალი	5
შეცვალთ თუ მივიღოთ სრულიად ახალი?.....	7
ხელისუფლების დანაწილება.....	8
ძალთა ბალანსი.....	9
სასამართლო რეფორმა.....	11
არჩევნები და პარლამენტი	13
ტერიტორიული მოწყობა და კონფლიქტური რეგიონები.....	15
ადამიანის უფლებები და თავისუფლებები საქართველოს კონსტიტუციაში.....	16
პარტიების დაფინანსება და პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის წახალისება.....	17
დასკვნა.....	18
დანართი 1 – ჩაღრმავებული ინტერვიუს გზამკვლევი.....	21
დებატები საკონსტიტუციო რეფორმაზე საქართველოს რეგიონებში	26

წინასიტყვაობა

2010 წელი საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის ერთ-ერთი გადამწყვეტია. სულ მალე საქართველოს პარლამენტი, გადაწყვეტს მიიღოს თუ უარყოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემოთავაზებული საკონსტიტუციო პროექტი, რომლის შემუშავებაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს კომისიის შემადგენლობაში შემავალმა პოლიტიკოსებმა, მეცნიერებმა, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა და სამართლის ექსპერტებმა.

კონსტიტუციის პროექტი, სხვა საკითხების გარდა, ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის ძალაუფლების გადანაწილების სახეცვლილ მოდელსა და ძალთა ბალანსის ახალ სისტემას მოიცავს. აქედან გამომდინარე, ეს პროექტი თამამად შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს პოლიტიკური კულტურის ახლებურად განსაზღვრისა და საქართველოს მოქალაქეების უფლებების, მოვალეობებისა და თავისუფლებების გაძლიერების მცდელობად.

საკონსტიტუციო რეფორმისადმი საზოგადოების ნდობისა და ლეგიტიმურობის მოსაპოვებლად აუცილებელია მისი მხარდაჭერა ინტელექტუალური საჯარო დებატების მეშვეობით, რომელშიც განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა და მდგომარეობის მქონე ადამიანები მიიღებენ მონაწილეობას. ბოლო თვეების განმავლობაში, აღნიშნული დებატების მხარდაჭერის მიზნით, „ჰოლანდიის მრავალპარტიულმა დემოკრატიის ინსტიტუტმა“ (NIMD) სამოქალაქო საზოგადოებასთან საჯარო დებატებსა და ოპიონიური პარტიების ლიდერებთან ინტერვიუებს გაუწია ორგანიზება.

2010 წლის მაისი-აგვისტოს პერიოდში, „ჰოლანდიის მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტის, საქართველოს წარმომადგენლობაში „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებასთან“ (ISFED) თანამშრომლობითა და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის აქტიური მონაწილეობით, 8 საჯარო დებატის ორგანიზებას გაუწია მხარდაჭერა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. აღნიშნულ დებატებში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი იყვნენ სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლები.

ამავე დროს, NIMD დაინტერესებული იყო პროცესში ჩაერთო ის პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელთაც უარი განაცხადეს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიასთან თანამშრომლობაზე. არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მეცნიერებთან ერთად, NIMD-მა შეიმუშავა კითხვარი, რომელიც საკონსტიტუციო რეფორმის უმთავრეს საკითხებსა და კონსტიტუციასთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულ საკითხებს ეხებოდა. „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის“, (CRRC) მხარდაჭერით, NIMD-მა 13 პოლიტიკური პარტია მიიწვია კვლევაში მონაწილეობის მისაღებად და საკონსტიტუციო რეფორმასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე საკუთარი მოსაზრების გამოსახატავად.

პარტიების უმეტესობამ კითხვებზე პასუხი ენთუზიამითა და თანამშრომლობისადმი კონსტრუქციული დამოკიდებულებით გასცა. ზოგიერთ მათგანს უკვე ჰქონდა საკუთარი მოსაზრება და პოზიცია საკონსტიტუციო რეფორმის შესახებ. დანარჩენებმა კი, ეს შესაძლებლობა შიდა პარტიული დიალოგის გზით ორგანიზაციის პოზიციის ფართო საზოგადოებისთვის გასაცნობად გამოიყენეს. მაღლობას ვუხდით პარტიების წარმომადგენლებსა და მათ ლიდერებს კვლევაში მონაწილეობისთვის.

ეს ანგარიში შემოსხენებული ოპიონიური პარტიების მოსაზრებების შეჯამებას წარმოადგენს. ანგარიში დაყოფილია თავებად და მოიცავს როგორც შედარებას, ასევე ანალიზს. განხილულ საკითხთა შორისაა როგორც ზოგადი კითხვები საკონსტიტუციო რეფორმაზე და ასევე ისეთი კონკრეტული საკითხები, როგორცაა: ხელისუფლების დანაწილება, ძალთა ბალანსი, სასამართლო რეფორმა, არჩევნები და

პარლამენტი, კონფლიქტური რეგიონები და გერიტორიული მოწყობა, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები და პარტიების დაფინანსება.

დასახელებულ კითხვებზე პასუხების ამ ანგარიშში თავმოყრა, კარგი საფუძველია პარტიების საერთო პოლიტიკური ხედვის გასაცნობად, ისევე როგორც უახლესი და ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად.

ვიმედოვნებთ, რომ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულების გაცნობით ეს ანგარიში უფრო მრავალფეროვანს გახდის საკონსტიტუციო რეფორმაზე მიმდინარე საჯარო განხილვების პროცესს. ამასთანავე, მოხარულნი ვიქნებით, თუ ამ კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს კონსენსუსის მიღებას ისეთ ღირებულ საკითხებზე, რომელმაც ქვეყანა უკეთეს, უფრო მდგრადი და ეფექტური დემოკრატიული ინსტიტუტების მქონე სახელმწიფოდ უნდა აქციოს.

ლევან ცუცქერიძე

NIMD-ის წარმომადგენელი საქართველოში

შესავალი

საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია 2009 წლის ივნისში შეიქმნა ახალი და ქართული რეალობისათვის უფრო შესაფერისი კონსტიტუციის შემუშავების შესაძლებლობების წარმოსაჩენად. 1995 წელს მიღებული საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია, ხშირი ცვლილებებისა და ამ ცვლილებების შინაარსის გამო კრიტიკის საგანს წარმოადგენდა. კრიტიკის მიზეზი შესაფერისი ძალთა ბალანსის არარსებობაა, რომელიც განსაკუთრებით პრეზიდენტისა და პარლამენტის ძალაუფლებების შედარებისას ვლინდება. კომისიის შექმნის უმთავრესი მიზანი პოლიტიკურ და სამოქალაქო ჯგუფებს შორის ქვეყნის უმთავრეს საკანონმდებლო აქტზე ფართო კონსენსუსის მიღწევა იყო, რაც უდავოდ ავლია მოქმედ კონსტიტუციას.

საკონსტიტუციო კომისიაში შედიან პოლიტიკური პარტიების, პარლამენტისა და სხვა სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციების ფართო სექტორი, ექსპერტები, მთავრობისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წევრები. მიუხედავად იმისა, რომ კომისიის შექმნის თავდაპირველი განზრახვა ყველა დაინტერესებული და პოლიტიკური ჯგუფის ჩართვა იყო, არასაპარლამენტო პოლიტიკურმა პარტიებმა კომისიასთან მუშაობაზე უარი განაცხადეს. თუმცა, წარმოდგენილ საკონსტიტუციო პროექტზე საყოველთაო კონსენსუსის მისაღწევად აუცილებელია იმ ორგანიზაციების შეხედულებების გათვალისწინება, რომლებიც კომისიასთან არ თანამშრომლობენ. საყოველთაოდ მისაღები კონსტიტუციის შესაქმნელად, აუცილებელია რეფორმის პროცესში ყველა მნიშვნელოვანი და დაინტერესებული მხარის ჩართვა, მიუხედავად იმისა, თანამშრომლობს თუ არა ესა თუ ის პოლიტიკური ჯგუფი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიასთან.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ უკვე გამოაქვეყნა მის მიერ შემუშავებული საკონსტიტუციო პროექტი, რომელიც მოქმედი კონსტიტუციის სახეცვლილ ვარიანტს წარმოადგენს და არა სრულიად ახალ პროექტს.¹ პროცედურის თანახმად, ამჟამად საპარლამენტო განხილვების პერიოდია და პარლამენტი აღნიშნულ პროექტზე წინადადებებსა და შენიშვნებს განიხილავს. სწორედ არსებული რეალობის გათვალისწინებით ჩატარდა „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრისა, (CRRC) და „ჰოლანდიის მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტის, (NIMD) მიერ ჩატარებული ინტერვიუები 13 ოპოზიციურ პარტიასთან, რომელთაც არ მიიღეს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში შესვლის შეთავაზება. ამ პარტიების რიცხვში შედიან როგორც უკვე ჩამოყალიბებული პოლიტიკური პარტიები, ასევე ახლად დაარსებული პოლიტიკური ორგანიზაციები; პარტიები, რომელთაც საარჩევნო წარმატებას მიაღწიეს, ისევე როგორც შედარებით ნაკლები მხარდაჭერის მქონე ორგანიზაციები. მიუხედავად მათი პოლიტიკური პოზიციისა, მნიშვნელოვანია მათი მონაწილეობა საკონსტიტუციო რეფორმის პროცესში და რაც მთავარია, აღნიშნულ საკითხზე მათი მოსაზრებების საჯაროობა. თუ რეფორმის მიზანი წარმატება და საქართველოსთვის უფრო სტაბილური და დაბალანსებული კონსტიტუციის შექმნაა, მაშინ აუცილებელია რაც შეიძლება მეტი და განსხვავებული შეხედულების გათვალისწინება მისი შექმნის პროცესში.

ეს არის პარტიების ჩამონათვალი, რომელთაც ჩატარებულ ინტერვიუში მიიღეს მონაწილეობა:

- კონსერვატიული პარტია
- „ჩვენი საქართველო- თავისუფალი დემოკრატიები“
- რესპუბლიკური პარტია
- ლეიბორისტული პარტია

¹იხილეთ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ გამოქვეყნებული საკონსტიტუციო პროექტი <http://constcommis.gov.ge/uploads/files/proeqti.20.07.pdf>

- გრადიციონალისტები
- პარტია „თავისუფლება“
- მოძრაობა “ სამართლიანი საქართველოსთვის“
- ქალთა პარტია
- მოძრაობა „ერთიანი საქართველოსთვის“
- ხალხის პარტია
- ეროვნული ფორუმი
- „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“
- „ახალი მემარჯვენეები“

პარტია „საქართველოს გზა“ არაერთგზის იყო მოწვეული ინტერვიუში მონაწილეობის მისაღებად, თუმცა კითხვარის არც ერთ საკითხზე ლეგალური პასუხი არ გამოუგზავნია. პარტიამ „დემოკრატიული მოძრაობა - გაერთიანებული საქართველო“ არ უპასუხა მონაწილეობის შესახებ მრავალჯერად მოწვევას .

ინტერვიუ საკონსტიტუციო რეფორმის უმთავრეს ასპექტებს შეეხო და მიზნად ისახავდა პარტიებისგან იდეალური კონსტიტუციის სურათის მიღებას, რომელიც მათი აზრით ყველაზე უკეთ მოერგებოდა საქართველოს რეალობას. ზოგადი თემები, რომელსაც ინტერვიუ შეეხო, მოიცავდა შემდეგ საკითხებს: საკონსტიტუციო რეფორმის საჭიროებას, ხელისუფლების დანაწილებას, ძალთა ბალანსს, სასამართლო რეფორმას, არჩევნებსა და პარლამენტის სტრუქტურას, კონფლიქტურ რეგიონებსა და საქართველოს ტერიტორიულ მოწყობას, კონსტიტუციით გასათვალისწინებელ უფლებებს, ქალთა მონაწილეობას პოლიტიკაში და პოლიტიკური პარტიების დაფინანსებას. ეს ანგარიში მიზნად ისახავს, გააცნოს მკითხველს პარტიების შეხედულებები გემოთიამოთვლილ საკითხებზე და ხელი შეუწყოს საკონსტიტუციო რეფორმის შესახებ მიმდინარე განხილვებს.

კვლევაში მონაწილე 13 პარტიამ ყველა კითხვაზე პასუხი არ წარმოადგინა. აღსანიშნავია, რომ პასუხები როგორც ლეგალური, ასევე ზედპირული და, რიგ შემთხვევებში, წინააღმდეგობრივიც კი იყო. ასევე რიგ საკითხებზე, მათ შორის ფუნდამენტურ პოლიტიკურ უმცირესობასა და ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების სპეციფიკურ უფლებამოსილებებზე, – პასუხები ან ძალზე ზოგადი, ან გაუგებარი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მოგიერთმა პარტიამ პასუხი გასცა კითხვებზე, რომელიც ცენტრალურ ხელისუფლებას, ადგილობრივ თვითმმართველობას და კანონმდებლობას ეხებოდა, მოსაზრებები ბუნდოვანია ან მათი საერთო პოზიციის გამეორებაა. შესაბამისად, პასუხები ზოგიერთ თემაზე, რომელიც კვლევაში იყო გათვალისწინებული, ამ ანგარიშში არ აისახა.

ინტერვიუები ჩატარდა 2010 წლის თებერვალ–აპრილის შუალედში, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ საკონსტიტუციო პროექტში შესაგანი ცვლილებების გამოქვეყნებამდე გაცილებით ადრე. საკონსტიტუციო კომისიის რეკომენდაციები და დასკვნები თითოეული თავის დასაწყისშია მოცემული.

შეცვალთ თუ მივიღოთ სრულიად ახალი?

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ გამოქვეყნებული საკონსტიტუციო პროექტი მნიშვნელოვნად განსხვავდება მოქმედი კონსტიტუციისგან, ის მაინც შორს ღვას სრულიად ახალი პროექტისაგან. კონსტიტუციის მუხლების უმეტესობა, მაგალითად, თავი ადამიანის უფლებებზე, ხელშეუხებელი დარჩა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ შემოთავაზებული ცვლილებები – მნიშვნელოვანი და მრავლის მომცველია.

კითხვაზე, სჭირდებოდა თუ არა საქართველოს სრულიად ახალი კონსტიტუცია, თუ უკეთესი იქნებოდა მნიშვნელოვანი ცვლილებები შესულიყო არსებულ რედაქციაში, პოლიტიკური პარტიების შეხედულებები გაიყო. იმ პარტიების შეხედულებით, რომელთა მოსამრეხითაც საქართველოს სრულიად ახალი კონსტიტუცია სჭირდება, ამის მთავარ მიზეზად მოქმედ კონსტიტუციაში ბოლო წლების განმავლობაში შესული ცვლილებების სიმრავლე დასახელდა. “კონსერვატიული პარტიის” ამრით, საქართველომ „შესაძლებელია“ მიიღოს სრულიად ახალი კონსტიტუცია, რადგან „მოქმედი კონსტიტუციის 80 % სრულ შეცვლას საჭიროებს“. იგივე ამრს იზიარებს პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, რომლის განცხადებით, - ამჟამინდელი კონსტიტუცია ცვლილებებით „გააუპატიურეს“, რაც ახალი კონსტიტუციის შემუშავების აუცილებლობას გარდაუვალს ხდის.

პარტიების ნაწილის მოსამრებით, მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს საქართველო მოქმედ კონსტიტუციაში შეიგანს ცვლილებებს თუ სრულიად ახალ ვარიანტს მიიღებს. ამით პარტიების ნაწილმა უკმაყოფილება გამოხატა არსებული პოლიტიკური კლიმატის მიმართ. „გრაღიციონალისტები“ მიიჩნევენ, რომ კონსტიტუციის შინაარსი მხოლოდ მაშინ გახდება შესაბამისი „როდესაც ხალხი მას დაემორჩილება“. ხოლო, ლეიბორისტული პარტია მიიჩნევს, რომ მოქმედი ხელისუფლების პირობებში, კონსტიტუციის შეცვლას ან ახალი კონსტიტუციის მიღებას ამრი არ აქვს.

მიუხედავად სეკტიციზმისა, პარტიების უმეტესობის მოსამრებით, მოქმედი კონსტიტუციის შეცვლა წინ გადადგმული ნაბიჯია. პარტიების ნაწილის ამრით, სრულიად ახალი კონსტიტუციის შექმნა საჭირო არ იყო, რესპუბლიკელების, „ჩვენი საქართველო–თავისუფალი დემოკრატიისა“ და „ხალხის პარტიის“ თქმით, მოქმედი თავი ადამიანის უფლებების შესახებ გადახედვას არ საჭიროებს. პარტია „თავისუფლება“ და ქალთა პარტია მიიჩნევენ, რომ კონსტიტუციის შეცვლა აჯობებს ახლის შემუშავებას, რადგან შეცვლა გაცილებით მოკლევადიანი პროცესია. ქალთა პარტიის მოსამრებით, „არსებობს ცუდი საკითხების სასწრაფოდ შეცვლის გადაუდებელი საჭიროება“. ახალი შემარჯვენები კი მიიჩნევენ, რომ ახალი კონსტიტუცია მხოლოდ გერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ უნდა იქნას მიღებული, რომელიც „ახალი საწყისი წერტილი“ და „ძირეული ცვლილება“ იქნებოდა მთელი ქვეყნისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიების მოსამრები გაიყო იმ საკითხზე, თუ როგორ უნდა შევიდეს ძალაში კონსტიტუცია, ცვლილებებით თუ შეიქმნას სრულიად ახალი, უმეტესობამ ყურადღება მაინც „პოლიტიკურ კონსენსუსზე“ გაამახვილა. პარტიამ „ჩვენი საქართველო–თავისუფალმა დემოკრატიამ“ განაცხადა, რომ კონსენსუსი „კონსტიტუციის სტაბილურობას განაპირობებდა“, ხოლო ეროვნული ფორუმის განცხადებით, კონსენსუსის მიღწევა „ყველაზე მნიშვნელოვანია“. ბევრმა პარტიამ, ასევე სახეცვლილი ან ახალი კონსტიტუციის მიღებამდე, საზოგადოების კრიტიკული შეფასების აუცილებლობას გაუსვა ხაზი. პარტიების უმეტესობამ მოიწონა საპარლამენტო ხმის მიცემა, როგორც კონსტიტუციის დამტკიცების მისაღები მექანიზმი, ბოგიერთმა კი დამატებით რეფერენდუმს მიანიჭა უპირატესობა. რამოლენიმე პარტიამ კი, რეფერენდუმი შეუფერებლად მიიჩნია. „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ თვალსამრისით, რეფერენდუმი გამართლებული იქნებოდა მხოლოდ კონკრეტულ და ზოგად საკითხებზე, ისეთებზე როგორცაა, ქვეყნის მმართველობის ფორმა. კონსერვატიული პარტია კი მიიჩნევს, რომ რეფერენდუმი „უკანასკნელი გზა“ უნდა იყოს. ხალხის პარტია ისლანდიურ მოდელს გეთავაზობს, სადაც პარლამენტი უფლებამოსილია ცვლილებები მიიღოს, მაგრამ შემდგომ ვალამდელი საპარლამენტო არჩევნები უნდა დანიშნოს. ახალმა პარლამენტმა კი უნდა გადაწყვიტოს, მიიღოს თუ არა ცვლილებები კონსტიტუციაში. მსგავსი სცენარი მისაღებია „ახალი შემარჯვენებისთვისაც“, რომლებიც ასევე რეფერენდუმის წინააღმდეგნი არიან და ამავე დროს მიიჩნევენ, რომ ცვლილებები ორი მოწვევის პარლამენტმა უნდა მიიღოს.

ხელისუფლების დანაწილება

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემოთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილებების მიხედვით, პრემიერ-მინისტრი უფრო ძლიერი ფიგურა ხდება, ხოლო პრეზიდენტის ინსტიტუტის ძალაუფლება შესუსტებულია. ამავდროულად, ცვლილებები მცირედით გაზრდის პარლამენტის ძალაუფლებას. თეორიულად ხელისუფლების ასეთი დანაწილება საქართველოს აქცევს შერეული მმართველობის სახელმწიფოდ. პრემიერ-მინისტრი უკვე აღმასრულებელი ხელისუფლების ერთპიროვნული მეთაურია და მინისტრთა კაბინეტი ანგარიშვალდებულია მის მიმართ. საკონსტიტუციო პროექტის თანახმად, “პრემიერ-მინისტრი განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის მიმართულებებს, ორგანიზაციას უწევს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს კოორდინაციას და კონტროლს მთავრობის წევრების საქმიანობაზე.” პრეზიდენტი კი კვლავ რჩება შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად, ქვეყნის მეთაურად და საქართველოს უმაღლეს წარმომადგენლად საგარეო ურთიერთობებში.

ადგილობრივი თვითმმართველობის კუთხით, შემოთავაზებული პროექტი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების სტრუქტურირების ზოგიერთ ასპექტს აწესრიგებს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათი ძალაუფლებისა და კომპეტენციის საკითხს ღიად გოვებს. საკონსტიტუციო პროექტში დამატებულია სპეციალური თავი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, რომელიც ნათლად განსაზღვრავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებები და უფლებამოსილებები ცენტრალური ხელისუფლებისგან განცალკევებით დგას. ამავდროულად, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს „საკუთარი და დელეგირებული უფლებები და უფლებამოსილებები“, ფინანსური რესურსები და საკუთრება აქვთ. პროექტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულები დამოუკიდებელი არიან და უნდა მოქმედებდნენ საკუთარი ინიციატივით. მნიშვნელოვანია, რომ ჩანაწერი ასევე მიუთითებს ადგილობრივი საკრებულოების პირდაპირი წესით არჩევაზე. თუმცა, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების გარკვეული უფლებამოსილებები, ისევე როგორც მათ განუარგულებაში არსებული ფინანსური რესურსები, კონსტიტუციაში ასახული არ არის. აღნიშნული თავის დებულება განმარტავს, რომ ეს საკითხები „განისაზღვრება კანონით“. ამასთანავე, “აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლობას საქართველოს ადმინისტრაციულ-გერიტორიული ერთეულებში უმრუნველყოფს სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი” და “სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის უფლებამოსილებანი განისაზღვრება კანონით.”

საქართველოს მმართველობის ზოგად სისტემასა და ძალაუფლების ვერტიკალურ დანაწილებაზე, პარტიების უმეტესობის ამრიგ ემთხვევა. კვლევაში მონაწილე 13 პარტიდან, 8 მხარს უჭერს საპარლამენტო მმართველობის მოდელს. მათგან ორი (გრადიციონალისტები და „მრეწველები“) აღნიშნავენ, რომ მათთვის სასურველია ეს სისტემა კონსტიტუციური მონარქიის პირობებში არსებობდეს. „მრეწველები“ აქვე დასძინენ, რომ ეს პროცესი გრძელვადიანი იქნება. „ახალი მემარჯვენეები“ მხარს არ უჭერენ საპარლამენტო მოდელს, მაგრამ საკონსტიტუციო მონარქიის მომხრეები არიან, როგორც კი ქვეყნის რეალობა ამის საშუალებას შექმნის.

პარტიების ნაწილი აცხადებს, რომ მხარს უჭერს საპარლამენტო მმართველობის სისტემას, რაც გამოწვეულია საპრეზიდენტო სისტემის შიშით, რომელიც ხალხის პარტიის მოსამრებით „ავტორიტარიზმის წყაროა“. რესპუბლიკელების თვალსაზრისით, საპარლამენტო მოდელი „ნაკლებ რისკებს შეიცავს“ და როგორც ქალთა პარტია აფასებს, ეს მოდელი გადაწყვეტილების მიღების პროცესში კონსენსუსის მიღწევას უწყობს ხელს

ლებორისტული პარტია, პარტია „თავისუფლება“ და „ახალი მემარჯვენეები“ ე.წ. ფრანგულ მოდელს უჭერენ მხარს (შერეული საპრეზიდენტო და საპარლამენტო მოდელი). პარტია „თავისუფლება“ გაიზიარა წუხილი ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტის სამიშროებაზე, თუმცა, ამავდროულად დასძინა, რომ საპარლამენტო მოდელის შესაბამისი „საკანონმდებლო კულტურა ჯერ საქართველოში არ აღმოცენებულა.“ „ახალი მემარჯვენეებისთვის“, შერეული სისტემა „გარდამავალი ეტაპი“ იქნებოდა, საკონსტიტუციო მონარქიის სისტემაზე გადასასვლელად. მხოლოდ ორი პარტია, „ჩვენი საქართველო–თავისუფალი დემოკრატია“ და

მოძრაობა “ერთიანი საქართველოსთვის“ უჭერს მხარს აშშ-ს გიპის საპრეზიდენტო სისგემას, თუმცა კონკრეტულ მიზეზებს არ ასახელებენ, თუ რატომ იქნებოდა სწორედ ეს მოლეული საქართველოსთვის საუკეთესო გამოსავალი.

ასევე იგრძნობა ამრთა თანხვედრა ლეცენგრალიზაციის საკითხზე. თითოეულმა რესპონდენტმა ისაუბრა ძალაუფლების ცენტრალურიდან ადგილობრივ მთავრობაზე გადაწველების აუცილებლობაზე, ანუ ის, რასაც „ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატიები“ „დემოკრატიის გარანტს“ უწოდებენ. კონსერვატორები, „ახალი მემარჯვენეები“, „სამართლიანი საქართველო“, „მრეწველები“ და ეროვნული ფორუმი მიუთითებენ არსებულ სისგემურ დარღვევებზე და ამის მაგალითად მოჰყავთ ცენტრალური მთავრობის მიერ შემოსავლების კონტროლი. „ახალი მემარჯვენეები“ აცხადებენ, რომ ამ გზით მთავრობა „ირიბ გავლენას“ ახდენს ადგილობრივ თვითმმართველობებზე და ამიტომაც მიესალმება „მაქსიმალურ ლეცენგრალიზაციას“.

რესპონდენტების უმეტესობას სურს დაინახოს „ცხადი სამღვარი“ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ძალაუფლებას შორის და რომ ადგილობრივ თვითმმართველობებს „რაც შეიძლება მეტი ძალაუფლება მიეცეთ“, რაც „ეროვნული საბჭოს“ მიერ იქნა ხაზგასმული. „სამართლიანი საქართველოს“ ადგილობრივი პოლიციური ერთეულების შექმნა სურს, კონსერვატორებს კი სოციალურ და კულტურულ სფეროებში ფართო ადგილობრივი უფლებების მინიჭება. თუმცა, კონსერვატორები ვერ განმარტავენ, რას შეიძლება ეს უფლებები ნიშნავდეს ან მოიცავდეს პრაქტიკაში. გრადიციონალისტები (ერთ-ერთი ყველაზე მარჯინალური პარტია, რომელმაც კვლევაში მიიღო მონაწილეობა), მიიჩნევენ, რომ საქართველოსთვის შესაფერისი მოლეული, დასავლური გიპის, ესპანეთის ან კანადის მოლეული შეიძლება იყოს. მოძრაობა “ერთიანი საქართველოსთვის“ აცხადებს, რომ სინამდვილეში, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებას ხელს უშლის პრეზიდენტის მიერ რევიონების რწმუნებულების დანიშვნა. პარტიის მოწოდებით, თითოეული მერი და გუბერნატორი პირდაპირი წესით უნდა იქნას არჩეული და სწორედ ეს შეუწყობს ხელს ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბებას. თუმცა, არც ერთმა პარტიამ არ დააკონკრეტა, თუ როგორ შეიძლება ლეცენგრალიზაციის განხორციელება (რესპუბლიკელების გარდა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ დაახლოებით 350 ადგილობრივი ერთეულისგან შემდგარი ასიმეტრიული სისგემა უნდა არსებობდეს).

ძალთა ბალანსი

როგორც უკვე აღინიშნა, კომისიის მიერ შემოთავაზებული პროექტი პრემიერ-მინისტრის ძალაუფლებას მრდის. ასევე გარკვეულწილად იზრდება პარლამენტის ძალაუფლება, მაგალითად, პარლამენტის წევრების მხრიდან მინისტრებზე შედამხედველობის ფუნქციის გაზრდის მეშვეობით. პროექტის მიხედვით, პარლამენტში უმრავლესობით გასული პარტია პრემიერის კანდიდატურას ასახელებს, რომელსაც შემდგომ პარლამენტი ამტკიცებს აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად. მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადებისათვის საჭირო პროცესის დასაწყებად პარლამენტის წევრთა ორი მეხუთედის თანხმობა იქნება საჭირო. წინადადების შეგანიდან ოცდაათი-ოცდათხუთმეტი დღის გასვლის შემდეგ, როდესაც პარლამენტის წევრთა ნახევარზე მეტი მხარს დაუჭერს უნდობლობის გამოცხადების წინადადებას, პარლამენტი პრემიერ-მინისტრის ახალ კანდიდატურას უყრის კენჭს.

საკონსტიტუციო პროექტი ლეგალურად აღწერს კომპლექსურ პროცედურას, რომლითაც პრეზიდენტს შეუძლია პარლამენტის დათხოვნა და ახალი არჩევნების დანიშვნა. თუ პარლამენტი, არჩევნების ან უნდობლობის გამოცხადების შემდეგ ვერ ახერხებს მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებას, რამოლენიმი თვის განმავლობაში, პრეზიდენტი უფლებამოსილია დაითხოვოს ორგანო.

ახალი პროექტის მიხედვით, პარლამენტი აღარ არის ვალდებული მხედველობაში მიიღოს პრეზიდენტის მოსამრეებები კანონპროექტებთან დაკავშირებით. პროექტის თანახმად, “თუ პარლამენტმა არ მიიღო პრეზიდენტის შენიშვნები, კენჭი ეყრება კანონპროექტის პირვანდელ რედაქციას.” კანონი

მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი დაუჭერს. კონსტიტუციური კანონის შემთხვევაში კი ის მიღებულად ჩაითვლება, თუ მხარს პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი დაუჭერს.

ბიუჯეტის დამტკიცების პროცესი თითქმის იგივე რჩება, ისევე როგორც ცვლილებები არ შედის პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ პროექტს დაემატა წინადადება, რომლის თანახმადაც - „პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ან მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობის შემთხვევაში პარლამენტს კონსტიტუციის 63-ე მუხლითა და კანონით დადგენილი წესით შეუძლია თანამდებობიდან გადააყენოს პრეზიდენტი.“

შემოთავაზებული საკონსტიტუციო პროექტის თანახმად, იმპიჩმენტის წესით საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს, რომლის შემდგომაც საკითხი დასვენისათვის გადაეცემა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა პრეზიდენტის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა ან კონსტიტუციის დარღვევა, დასვენის წარდგენიდან არაუგვიანეს 15 დღისა პარლამენტი განიხილავს და კენჭს უყრის პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხს. „პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება“ თუ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ თუ პარლამენტმა ორი კვირის ვადაში არ მიიღო გადაწყვეტილება პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, იმავე საკითხზე იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება დაუშვებელია. ამავე დროს, დაუშვებელია იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელება საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს.

რესპონდენტები ცალსახად ნეგატიურად აფასებენ არსებულ ძალთა ბალანსის სისტემის ეფექტურობას საქართველოში. „ჩვენი საქართველო—თავისუფალი დემოკრატიის“ განცხადებით, არ ღირს ამ არაეფექტურობაში ხელისუფლების დანაწილების არსებული მექანიზმის დადანაშაულება, რადგან „ის რაც ცუდად განსაზღვრულია, ნებისმიერ შემთხვევაში არ იქნება დაცული“. რესპონდენტების უმეტესობა მიიჩნევს, რომ კონსტიტუცია იმ სახით, როგორც დღეს მოქმედებს, – არაადეკვატურია და ვერ უზრუნველყოფს დაბალანსებული მთავრობის არსებობას. „ეროვნული ფორუმმა“, პრობლემის სათავედ, 2004 წლის წინააღმდეგობრივი შესწორებები დაასახელა, რომლის მიხედვითაც გაიმართა პრეზიდენტის ძალაუფლება პარლამენტზე. რესპუბლიკელების მოსაზრება, რომელთაც მოქმედ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა სურთ, დაემთხვა „ეროვნული ფორუმის“ თვალსაზრისს, რომ თავი, რომელიც ძალთა ბალანსს აწესრიგებს, მთლიანად უნდა შეიცვალოს.

პარტიების უმრავლესობას ერთიანი მოსაზრება აქვთ უფრო დაბალანსებული სისტემის მიღწევის გზებზე. უმეტესობა დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ბიუჯეტის დამტკიცების მოქმედი პროცედურა მისაღები და სწორია. თუმცა, ზოგიერთის მოსაზრებით, პროცესს მეტი დრო უნდა დაეთმოს, რათა ხარჯვითი ნაწილის უფრო ლეგალური წარმოდგენა იყოს შესაძლებელი და პარლამენტს მეტი დრო ჰქონდეს მის განსახილველად.

სხვა საკითხების მსგავსად, პარტიების უმეტესობა თანხმდება, რომ პარლამენტის დათხოვნის პროცედურა უნდა გართულდეს, რაც ალბათ გასაკვირი არ არის, რადგან პარტიების დიდი ნაწილი საპარლამენტო მმართველობას უჭერს მხარს. ქალთა და ხალხის პარტიები მიიჩნევენ, რომ პარლამენტის დათხოვნის უფლება არც ერთ ორგანოს არ უნდა ჰქონდეს და თავად პარლამენტმა უნდა გადაწყვიტოს ვალდებულ არჩევნების დანიშნვის საჭიროება. დანარჩენი რესპონდენტები კი მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს პარლამენტის დათხოვნის უფლება, თუმცა, მხოლოდ „გამონაკლის შემთხვევებში“ (გრაფიციონალისტები) ან „გამოუვალ“ ვითარებაში („სამართლიანი საქართველოსთვის“). ნიშანდობლივია, რომ პარტიებმა არ განმარტეს კონკრეტულად, რა რა სახის შემთხვევებს გულისხმობდნენ. რესპუბლიკელების მოსაზრებით, პრეზიდენტმა პარლამენტი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დაითხოვოს, თუ იგი ვერ ახლენს სტაბილური მთავრობის ფორმირებას (გარკვეულწილად, ამ მოსაზრებას „ახალი მემარჯვენეებიც“ იმიარებენ), ან ვერ ახერხებს შეკრებას. პარტიები ამტკიცებენ, რომ პარლამენტის დათხოვნის პროცედურა მთლიანად უნდა აისახოს კონსტიტუციაში, რაც ასევე სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიდგომაა. ამ საკითხზე ვერ

თანხმდებიან ე.წ. ფრანგული მოდელის მომხრე პარტიები. ლეიბორისტები მიიჩნევენ, რომ პარლამენტის დათხოვნის საფუძველი სამოგადოებრივი პეტიცია უნდა გახდეს, ხოლო პარტია „თავისუფლების“ მოსამხრებით, საკანონმდებლო ორგანოს დათხოვნა უნდა მოხდეს პრემიერის ბრძანების საფუძველზე და საკონსტიტუციო სასამართლოს მხარდაჭერით. ამ ორი პარტიიდან არც ერთმა არ მოისურვა აეხსნა, თუ რაგომ მიიჩნევენ მათ მიერ შემოთავაზებულ სისტემას უკეთესად.

პარლამენტის უფლება, დაითხოვოს აღამსრულებელი ხელისუფლება, რესპონდენტების უმეტესობის თანხმობის საკითხია. კვლევაში მონაწილე ყველა პარტია მიიჩნევს, რომ პარლამენტს მთავრობის წინააღმდეგ უნდობლობის გამოცხადების წინადადებით გამოსვლის უფლება უნდა ჰქონდეს. ზოგერთმა პარტიამ დააკონკრეტა, რომ ეს საკითხი უბრალო უმრავლესობით უნდა გავიღეს. გრადიციონალისტებისა და „სამართლიანი საქართველოს“ განცხადებით კი, თუ პარლამენტი ვერ შეძლებს ბიუჯეტის დამტკიცებას, ესეც უნდობლობის გამოცხადების საბაბად უნდა იქცეს. „ახალი მემარჯვენეების“ აზრით, უნდობლობის გამოცხადების წინადადება პარლამენტმა ორი მოსმენით უნდა მიიღოს, ერთი თვის ინტერვალში. მიუხედავად ზოგიერთი თანხვედრისა, კომისიის მიერ შემოთავაზებული უნდობლობის გამოცხადების პროცედურა უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გართულებულია პარტიების წინადადებებისაგან განსხვავებით.

ქალთა პარტია და „ჩვენი საქართველო–თავისუფალი დემოკრატიები“ ასევე ფიქრობენ, რომ პრემიერის მთავრობის დათხოვნის უფლებამოსილება უნდა ჰქონდეს. ასეთი დამოკიდებულება გასაკვირი არ არის, რადგან პარტია „ჩვენი საქართველო–თავისუფალი დემოკრატიები“ საპრემიერო მოდელს უჭერს მხარს. თუმცა, უცნაური და არაგრადიციული მოსაზრება გაუღერდა ქალთა პარტიისგან, რომელიც ძლიერ საპარლამენტო მოდელს უჭერს მხარს. პარტია „თავისუფლება“ არ აკონკრეტებს რა მექანიზმებით შეიძლება მთავრობის გადაყენება, თუმცა აღნიშნავს, რომ პარლამენტმა მხოლოდ „სახიფათო“ ვითარებებში უნდა გადააყენოს მთავრობა.

პრემიერის იმპიჩმენტის პროცედურაზე, სხვა საკითხებისგან განსხვავებით, პარტიებს შორის აშკარა სხვადასხვაობაა. „ჩვენი საქართველო–თავისუფალი დემოკრატიები“, კონსერვატორები, რესპუბლიკელები და მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ეთანხმებიან მოქმედ კონსტიტუციურ ჩანაწერებს იმპიჩმენტის საკითხზე, რომლის მიხედვითაც პარლამენტი კენჭს უყრის წინადადებას იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების შესახებ, პარლამენტის შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამელით, მას შემდეგ, რაც პრემიერი დამნაშავედ იქნება ცნობილი. სხვა პარტიები კი იმპიჩმენტის პროცედურის გამარჯვებას უჭერენ მხარს. „ახალი მემარჯვენეების“ მიერ შემოთავაზებული სისტემის მიხედვით, პარლამენტის წევრების ერთ მესამედს ექნება პარლამენტში პრემიერის იმპიჩმენტის წინადადებით შესვლის საშუალება, რაც შემდგომ კენჭისყრაზე წევრთა ორი მესამედის მიერ უნდა იყოს მხარდაჭერილი და ამის შემდგომ საკითხი პარლამენტიდან რეფერენდუმზე გადაინაცვლებს. თუ რეფერენდუმზე მოსახლეობა არ დაუჭერს მხარს პრემიერის იმპიჩმენტს, პარლამენტს არ ექნება უფლება იმპიჩმენტის წინადადებით მომავალი ერთი წლის განმავლობაში შევიდეს პარლამენტში. ამავე დროს, ინიშნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ლეიბორისტები, პარტია „თავისუფლება“ და ქალთა პარტია ფიქრობენ, რომ პარლამენტს იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელება სასამართლოს თანხმობის გარეშე უნდა შეეძლოს, ხოლო გრადიციონალისტები, შემდგომი განმარტების გარეშე მიიჩნევენ, რომ პრემიერი „მუდმივად უნდა გრძნობდეს იმპიჩმენტის საშიშროებას“.

სასამართლო რეფორმა

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემოთავაზებული კონსტიტუციის პროექტი სასამართლო რეფორმის დეტალებს არ ასახავს და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტსაც არ ახსენებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ პროექტით გათვალისწინებულია პრემიერის მიერ „კანონით დადგენილი წესით ნიშნავს იუსტიციის

უმაღლესი საბჭოს წევრებს, “ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის მოქმედი წესის თანახმად, მოსამართლეების დანიშვნისა და გათავისუფლების პასუხისმგებლობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ეკისრება. ამავე დროს, პროექტის თანახმად, მოსამართლეები უვადოდ ინიშნებიან. შუონსტიგუციო პროექტის თანახმად, “მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნის, თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და კანონით.” ხოლო “მოსამართლის უვადოდ გამწესებამდე კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მოსამართლის გამწესება განსაზღვრული ვადით, არაუმეტეს 3 წლისა. “

სასამართლო რეფორმა ყველაზე დიდი ღვაწლი საგანია საქართველოში და გასაუვირი არაა, რომ რესპონდენტები ამ საკითხზე მოსაზრებების საკმაოდ ფარგო სპექტრს გვთავაზობენ. რესპონდენტების მიერ განხილული იქნა ყველა ისეთი ძირეული საკითხები, როგორცაა: თუ ვინ უნდა ნიშნავდეს მოსამართლეებს უზენაეს სასამართლოში, მათი კომპეტენციები და თანამდებობაზე ყოფნის ვადები, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დადებითი მხარეები. პარტიების მიერ გამოთქმული განსხვავებული მოსაზრებების გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ ეს ის სფეროა, სადაც კონსენსუსის მიღწევა ყველაზე ხანგრძლივი მოლაპარაკებების პროცესის შედეგად მოხდება.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის წესთან დაკავშირებით კი, პარტიების მოსაზრებები მნიშვნელოვნად იყოფა. ოთხი პარტია (რესპუბლიკელები, ლეიბორისტები, მოძრაობა „ერთიანი საქართველოსთვის“ და „მრეწველები“) აცხადებენ, რომ მოსამართლეების კანდიდატურა პარლამენტის წინაშე დასამტკიცებლად პრეზიდენტმა უნდა წარადგინოს. მოძრაობას „სამართლიანი საქართველოსთვის“ კი მიაჩნია, რომ ეს ფუნქცია აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციაში უნდა შედიოდეს. სხვა პარტიების ამრით კი, პარლამენტს უნდა ჰქონდეს ექსკლუზიური უფლება წარადგინოს მოსამართლეები (ხალხისა და ქალთა პარტიები), ან მოსამართლეები დამოუკიდებელი სტრუქტურის მიერ უნდა დაინიშნონ („ჩვენი საქართველო–თავისუფალი დემოკრატია“, კონსერვატორები, პარტია „თავისუფლება“ და „ახალი მემარჯვენეები“), როგორც ეს ამჟამად ხდება. გრადიციონალისტები კი მიიჩნევენ, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები არჩევითი უნდა იყოს.

ასევე განსხვავდებოდა მოსაზრებები მოსამართლეთა დანიშვნის ვადების შესახებ. თუ მრეწველები, ხალხის პარტია და მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“, კონსერვატორები „ახალი მემარჯვენეები“ და „ჩვენი საქართველო– თავისუფალი დემოკრატია“ მხარს უჭერენ მოსამართლეთა უვადო დანიშვნას, სასამართლოს დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით, სხვა პარტიები მოსამართლეთა 20,15,10 და თუნდაც 5 წლით დანიშვნას უჭერენ მხარს (პარტია „თავისუფლება“ და რესპუბლიკელები). საინტერესოა რომ პარტიები, რომლებიც უვადოდ დანიშვნას უჭერენ მხარს იმ პრინციპით ხელმძღვანელობენ, რომ მოსამართლეები აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან თანამდებობის დაკარგვის საშიშროებას არ უნდა განიცდიდნენ. ისინი კი ვინც მცირე ვადით დანიშვნის მომხრეები არიან, მიიჩნევენ რომ ამით მოსამართლეთა პროფესიონალიზმი წახალისდება და არაკომპეტენტური მოსამართლეების გათავისუფლების შესაძლებლობა გაჩნდება. პარტიების უმრავლესობა დაეთანხმა მოსაზრებას, რომ სისხლის სამართლის დანაშაულში დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, მოსამართლეები, თანამდებობიდან უნდა იქნან გათავისუფლებულნი.

მოსამართლეების დანიშვნის საკითხზე ყველა პარტიას არ ჰქონდა მკვეთრად ჩამოყალიბებული აზრი. პარტია „თავისუფლება“ „არ იყო ღარწმუნებული“ თუ ვის უნდა დაენიშნა მოსამართლეები, ხოლო ხალხის პარტიამ განაცხადა რომ ეს „რთული საკითხია და ის სფეროა სადაც ისინი,, სხვა ძალებთან კომპრომისის მიღწევას“ ისურვებდნენ.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა, რომელიც უახლოეს მომავალში საქართველოში გარეგნული სახის დანაშაულებებზე იქნება შემოღებული, ასევე ამრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. გრადიციონალისტები, პარტია „თავისუფლება“, „ხალხის პარტია“ და მოძრაობა „ერთიანი საქართველოსთვის“ მიესალმებიან ნაფიც მსაჯულთა სისტემის შემოღებას. მაგალითად, ხალხის პარტია განმარტავს, რომ ნაფიც მსაჯულთა სისტემამ დიდი როლი შეასრულა აშშ–ს დემოკრატიული სისტემის განვითარებაში და შესაძლებელია ასევე დადებითად აისახოს ქართულ რეალობაზე. პარტია თავისუფლებამ განაცხადა, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი სასამართლო ხელისუფლებას აღმასრულებელი ხელისუფლების გემოქმედებისაგან დაცავდა. ორივე, კონსერვატორები და მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ საეჭვოდ ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. სამართლიანმა საქართველომ განაცხადა, რომ მსაჯულებმა შეიძლება ხელი შეუშალონ

„მოქალაქის 15 წლით თავისუფლების აღკვეთას [რომელიც] დამონტაჟებული ვიდეო-ჩანაწერის ნაწყვეტს ეფუძნება. “ამავე დროს ფრთხილობენ და მიიჩნევენ, რომ მსაჯულთა სისტემა მის საბოლოო დანერგვამდე კარგად უნდა იქნას შესწავლილი. კონსერვატორები ეთანხმებიან ამრს, რომ მსაჯულები ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა შევიდნენ სასამართლო სისტემაში. სხვა პარტიები სეპეტიკურად არიან განწყობილნი ნაფიც მსაჯულთა სისტემის მიმართ. ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატიის მოსაზრებით, მსაჯულთა სისტემა „ძალზე ნაადრევია“ საქართველოსთვის არსებული სისტემის გათვალისწინებით და აუცილებელია „კორუფციის აღმოფხვრა“ სანამ მსაჯულები მუშაობას შეუდგებიან. სხვა პარტიებმა მიუთითეს ნეპოტიზმისა და ნაფიც მსაჯულთა სისტემის კორუფციის საშიშროებაზე. რესპუბლიკელების მოსაზრებით, საქართველო „მეღმეტად პატარა ქვეყანაა“ ნაფიც მსაჯულთა სისტემისთვის, რადგან „ყველა ყველას იცნობს“. იგივე ამრს იმბარებენ მრეწველები, ახალი მემარჯვენეები და ეროვნული ფორუმი. ლეიბორისტები აცხადებენ რომ მოწმის (ან დაუშვით მსაჯულის) დაცვის მექანიზმის საქართველოში არ არსებობს. ქალთა პარტიის მოსაზრებით, ნაფიც მსაჯულთა სისტემა „მეღმეტად ძვირად ღირებული“ იქნება ქვეყნისთვის და მისი დანერგვა „მხოლოდ პიარ-კამპანიის ნაწილია“.

არჩევნები და პარლამენტი

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემოთავაზებული ცვლილებები არ ცვლის არსებულ საარჩევნო სისტემას და პარლამენტის სტრუქტურას, გარდა იმ ჩანაწერისა, რომლის თანახმადაც პრეზიდენტი „პარლამენტს წარუდგენს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებს“. მოქმედი კონსტიტუციით (მუხლი 4.), გათვალისწინებულია ორპალატიანი პარლამენტის შემოღება გერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდგომ; ეს საკითხი პარტიების უმეტესობამ არაერთხელ წამოჭრა. საკითხები, რომელიც საარჩევნო სისტემის გარშემო არსებობს, საარჩევნო კოდექსზე მომუშავე გეპეტიკურმა ჯგუფმა უნდა განიხილოს, რომელიც ექსპერტებს, მთავრობის წარმომადგენლებს, პარლამენტის ოპოზიციურ წევრებსა და არასაპარლამენტო ოპოზიციის ზოგიერთ წარმომადგენელს აერთიანებს.

საარჩევნო სისტემის შეფასებისას, პარტიები უმეტესად ნეგატიურები იყვნენ. მრეწველებისა და ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატიის ამრით, საარჩევნო სისტემა „კარგია ფურცელზე“, მაგრამ მისი განხორციელება პრაქტიკაში რადიკალურად განსხვავებულია. ხალხის პარტიაში განაცხადა, რომ საქართველო „ბრძვის“ რათა დაძლიოს გაყალბებული არჩევნების ისტორია და „მიადწიოს არჩევნების სამართლიანად ჩატარების პირველ პრეცედენტს“. სამართლიანი საქართველოს მოსაზრებით კი, საარჩევნო სისტემა იმდენად მნიშვნელოვანი არ არის რამდენადაც „საქართველოს ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლა“. კონსერვატორები, პარტია თავისუფლება და გრადიციონალისტები ფიქრობენ, რომ სისტემა მთლიანად შეცვლას მოითხოვს და ახლად შემუშავებული სისტემა კონსტიტუციაში უნდა აისახოს და თუ გრადიციონალისტების სიგყვებს მოვიშველიებთ, ისე რომ, „ქვაში იყოს გამოყვითილი“. ახალი მემარჯვენეებიც მხარს უჭერენ საარჩევნო სისტემის ზოგიერთი ასპექტის კონსტიტუციაში ასახვას, როგორცაა ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების დანიშვნისა და ამომრჩეველთა ღირებულების ღირებულების წესები. ახალი მემარჯვენეები ასევე მიიჩნევენ, რომ ამომრჩეველთა პირადობის დასადგენად ბიომეტრიული მონაცემები უნდა იქნას გამოყენებული. ეროვნული ფორუმი წინააღმდეგია საარჩევნო სისტემა კონსტიტუციაში განისაზღვროს.

საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, პარტიები საკუთარ მოსაზრებების გამოთქმისას ხელმძღვანელობდნენ მმართველობის იმ სისტემით, რომელიც, მათი ამრით, საქართველომ უნდა აირჩიოს. პარტიების უმრავლესობა ემხრობა მოსაზრებას, რომ საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო ბარიერმა უნდა დაიწიოს. მრეწველები და კონსერვატორები ბარიერის გაუქმების წინააღმდეგობით გამოდიან. ქალთა პარტია, მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“, და კონსერვატორები მიიჩნევენ, რომ, რაც მეტი პარტია იქნება წარმოდგენილი პარლამენტში მით უკეთესი იქნება ეს დემოკრატიისთვის. იგრძნობოდა რომ ამ პარტიებმა ან არ იცოდნენ ან მხედველობაში არ იღებდნენ დაბალი საპროცენტო ბარიერის ისეთ პოტენციურ საშიშროებებსა და უარყოფით მხარეებს, როგორცაა სუსტი კოალიციები და გადაწყვეტილებების მიღების

გაჭიანურებული პროცესი. რესპუბლიკელები იზიარებენ ამ საშიშროებების არსებობას და აცხადებენ, რომ „უმჯობესია შედარებით სახეცვლილ გზაზე ვიაროთ სანამ გარკვეულ შედეგებს არ მივაღწევთ და ამავე დროს შევამციროთ არასტაბილურობა და რისკის საშიშროება“.

ზოგადად, პარტიების უმეტესობა, ემხრობა პრეზიდენტის არჩევის იმ სისტემას, სადაც კანდიდატს ხმების 50 %-ის მიღება ან განმეორებით არჩევნებში მონაწილეობა მოეთხოვება. თუმცა, კონსერვატორებმა, განაცხადეს რომ ისინი მხარს უჭერენ პრეზიდენტის პარლამენტის მიერ დანიშვნას და ხალხის პარტია კი ეწინააღმდეგება პრეზიდენტის ინსტიტუტს როგორც ასეთს. საინტერესოა რომ პარტიების უმეტესობამ რომელიც, მმართველობის საპარლამენტო მოდელს ემხრობა, განაცხადა რომ მოქმედი პირდაპირი არჩევნების სისტემა მათთვის მისაღებია. მხოლოდ კონსერვატორები აკონკრეტებენ, რომ პრეზიდენტი პარლამენტმა უნდა დანიშნოს, როგორც ეს საპარლამენტო რესპუბლიკებშია მიღებული.

პარლამენტის სტრუქტურაზე, მის შემადგენლობაზე და პარლამენტის წევრების არჩევის წესზე ლეგალური კითხვების დასმისას, რესპონდენტთა აზრები მნიშვნელოვნად გაიყო. შეიღმა პარტიამ (კონსერვატორები, ლიბერალისტები, გრადიციონალისტები, პარტია თავისუფლება, მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის, ქალთა პარტია და ეროვნული ფორუმი) ორპალატიან პარლამენტს დაუჭირა მხარი, ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები, ახალი მემარჯვენეები, რესპუბლიკელები და პარტია თავისუფლება კი ერთპალატიან პარლამენტს ემხრობიან. თუმცა, პარტიებმა აქვე აღნიშნეს, რომ გერიგორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ, როდესაც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი კვლავ დაუბრუნდებიან საქართველოს იურისდიქციას, ისინი მხარს დაუჭერენ ორპალატიან პარლამენტზე გადასვლას – რაც უკვე ასახულია კონსტიტუციაში. პარტიების უმეტესობა მიიჩნევს, რომ ორპალატიანი პარლამენტი საქართველოს რეგიონების ინტეგრაციის წინ წამოწევაში დაეხმარება, და ასევე, დადებით როლს შეასრულებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარების სამშვიდობო პროცესში.

გრადიციონალისტები, ლიბერალისტები, პარტია თავისუფლება, ქალთა პარტია, ეროვნული ფორუმი და მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის, ყველა ეთანხმება პროპორციული წესით არჩეულ ქვედა პალატას და მაკორიგარული სისტემით არჩეულ ზედა პალატას პარლამენტში. უმეტესობა ასევე იზიარებს აზრს, რომ ქვედა პალატა ასი, ხოლო ზედა 50 წევრისგან უნდა შედგებოდეს. ეროვნული ფორუმის განმარტებით, ორპალატიანი შერეული სისტემა კარგი საშუალება იქნებოდა ეროვნული და ადგილობრივი საკითხების განსაცალკევებლად. ქვედა პალატა, რომელიც პარტიული სიით გასული პარლამენტის წევრებისგან შედგება, ქვეყნის მასშტაბით მოქმედი პარტიების ინტეგრაციას გამოხატავს, ხოლო ზედა პალატის წევრები, რომლებიც პირდაპირი წესით იქნებიან არჩეულნი ადგილობრივი გერიგორიული ერთეულებიდან, რეგიონულ ინტეგრაციას გაუწევენ ლობირებას. ასეთი მოწყობა ამჟამად ასახულია მოქმედი კონსტიტუციის მეოთხე მუხლში, თუმცა ძალაში მხოლოდ გერიგორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ შევა. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია ამ მუხლის შეცვლას დადებითად არ აფასებს.

საქართველოს პარლამენტს ამჟამად 150 წევრი ჰყავს, მხოლოდ მრეწველები და ახალი მემარჯვენეები უჭერენ მხარს პარლამენტის წევრთა რაოდენობის ზრდას. ახალმა მემარჯვენეებმა განმარტეს, რომ ისინი ისურვებდნენ პარლამენტის წევრთა ისეთ რაოდენობას, სადაც 100 წევრი პროპორციული სისტემით აირჩევა, ხოლო დანარჩენი გერიგორიული ერთეულებიდან, ამ ერთეულებში მცხოვრები მოქალაქეების მიერ. მრეწველების განმარტებით, 150 პარლამენტის წევრი საკმარისი არ არის საკანონმდებლო ორგანოს აღეკვამური ფუნქციონირებისთვის და რიცხვი „მინიმუმ ორასამდე“ უნდა გაიზარდოს. მეორეს მხრივ, მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის 100 კაციან, ერთპალატიან პარლამენტს უჭერს მხარს, თუმცა არ განმარტავს რა მიზეზით ემხრობა ასეთ მოდელს. იმ პარტიებს შორის, რომელთაც ერთპალატიანი პარლამენტი სურთ, მრეწველები, პარლამენტის პარტიული სიით დაკომპლექტებას უჭერენ მხარს; ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები და ახალი მემარჯვენეები მხარს შერეულ ხმის მიცემის სისტემას უჭერენ, რომლის მიხედვითაც პარლამენტის წევრები პარტიული სიითა და ერთმანდატიანი გერიგორიული ერთეულებიდან აირჩევიან (ეს გარკვეულწილად, მოქმედი სისტემის მსგავსია). მხოლოდ რესპუბლიკელები უჭერენ მხარს ერთადერთი გადაცემადი ხმის მიცემის სისტემას, რაც მათი აზრით, ამომრჩეველთა თანასწორობას გააუმჯობესებს.

გერიგორიული მოწყობა და კონფლიქტური რეგიონები

როგორც უკვე აღინიშნა, კომისიის მიერ შემოთავაზებული პროექტი ლეგალურად არ ასახავს ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურას. პროექტი ასევე არ ეხება საქართველოს ზოგად გერიგორიულ მოწყობას. ამჯამად მოქმედი კონსტიტუცია განსაზღვრავს საქართველოს, როგორც „ერთიანს“, თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ „ საქართველოს გერიგორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით... ქვეყნის მთელ გერიგორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.“ შემოთავაზებული პროექტი არ შეიცავს გერმინს „ოკუპირებული გერიგორიები“, აფხაზეთის მოიხსენიებს როგორც „აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას.“ ამავე დროს „აფხაზეთის ა/რ უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს.

კვლევაში მონაწილე პარტიებიდან მხოლოდ ჩვენი საქართველო– თავისუფალი დემოკრატიები და ქალთა პარტია არიან ერთმნიშვნელოვნად საქართველოს გერიგორიული მოწყობის უნიტარული სისტემის მომხრე. ქალთა პარტია ამავე დროს, ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის უფლებამოსილებების გამრღის მომხრეა, თუმცა არ აკონკრეტებს რა სახით. ეროვნული ფორუმი და ახალი მემარჯვენეები ორ ღონიან თვითმმართველობის სისტემას ემხრობიან. ლეიბორისტული პარტია აცხადებს, რომ გერიგორიული მოდელები არ შეიძლება განხილულ იქნას, სანამ საქართველო არ დაიბრუნებს ლეგალურ გერიგორიებს. ყველა სხვა რესპონდენტი რეგიონულ ან ფედერალურ სისტემას უჭერს მხარს. მოძრაობა სამართლიანი საქართველო ფიქრობს, რომ „საქართველო ვერ გადაჩრება, ფედერალური სისტემის დამკვიდრების გარეშე“. რესპუბლიკელები კი, რომლებიც „ასიმეტრიული რეგიონალიზმის“ მოდელს გეთავაზობენ, მიიჩნევენ რომ ცენტრალური ხელისუფლების შესუსტება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სამშვიდობო პროცესის ნაწილი უნდა გახდეს. ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატიებიც კატალონიის მაგალითს განიხილავენ, როგორც შესაძლო მოდელს. გრადიციონალისტებიც ფედერალურ სისტემას უჭერენ მხარს, ასიმეტრიული კომპეტენციებით, ისევე და ისევე რეინტეგრაციის მხარდაჭერის მიზნით. მათ მაგალითად ესპანეთის ბასკეთი და კატალონია მოჰყავთ. პარტიების უმეტესობა თითქოს მხარს უჭერს ფედერალურ სისტემაზე გადასვლას, არა იმიტომ რომ თავად სისტემა მოსწონთ, არამედ ქვეყნის გერიგორიული მთლიანობის აღდგენის მხარდაჭერის მიზნით. ამავე მიზეზით, პარტიების უმრავლესობა ორპალატიან პარლამენტს უჭერს მხარს. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისათვის სტატუსის განსაზღვრა კონსტიტუციაში ამრთა სხვადასხვაობას იწვევს. ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატიები, პარტია თავისუფლება, მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის, და მრეწველები ამ გერიგორიების სტატუსის როგორც „ოკუპირებული გერიგორიების“ განსაზღვრას უჭერენ მხარს და ამ სტატუსის კონსტიტუციაში ასახვა სწორად მიაჩნიათ. კონსერვატორებმა განაცხადეს, რომ ამ რეგიონებს „განსაკუთრებული სტატუსი“ არ უნდა ჰქონდეთ, ხოლო ეროვნული ფორუმი კატეგორიული წინააღმდეგია ამ გერიგორიებს რაიმე „კონსტიტუციური სახელი“ მიენიჭოთ. ბუნდოვანია, ქალთა პარტიის მოსაზრება, რომელიც მიიჩნევს, რომ გერმინ „ოკუპირებულის“ გამოყენება იმის აღიარების მანიშნებელია რომ „[ეს რეგიონები] რუსეთს ეკუთვნის“. რესპუბლიკელები და მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ფიქრობენ, რომ ამ რეგიონების სტატუსის ნებისმიერი საკონსტიტუციო განმარტება, გერიგორიული მთლიანობის აღდგენის პროცესის ნაწილი უნდა იყოს. რესპუბლიკელების მოსაზრებით, ასეთი სტატუსი „სამშვიდობო პროცესის ნაწილი უნდა იყოს და მხოლოდ სამშვიდობო პროცესის შედეგები უნდა აისახოს კონსტიტუციაში“. მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის „კატეგორიული წინააღმდეგია [აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის] სტატუსი განისაზღვროს, იმ ფორმით რაც აფხაზეთისა და ოსებისთვის იქნება მიუღებელი.“ ახალი მემარჯვენეები ამბობენ, რომ ამ რეგიონების სტატუსი, ისევე როგორც გერიგორიული მოწყობის საკითხი „ღიად უნდა დარჩეს“ გერიგორიული მთლიანობის აღდგენამდე. ეს მოსაზრება ისედაც ასახულია მოქმედ კონსტიტუციაში. მსგავს მიდგომას ემხრობა ხალხის პარტია, რომელიც დასავლეთ გერმანიის მაგალითზე მიუთითებს, სადაც სტატუსის ასეთმა განსაზღვრამ გაერთიანების შესაძლებლობა შექმნა.

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები საქართველოს კონსტიტუციაში

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემოთავაზებული პროექტით გათვალისწინებული ცვლილებები არ შეეხო ადამიანის უფლებების თავს. ასევე აღსანიშნავია, რომ პროექტი არ ცვლის სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის მოქმედ მოდელს, სადაც მართლმადიდებლური ეკლესიის როლი აღიარებულია როგორც „განსაკუთრებული საქართველოს ისტორიასა და კულტურაში“. მიუხედავად ასეთი ჩანაწერის მართლმადიდებლობა, სახელმწიფო რელიგიის სტატუსს არ ატარებს. შესწორებული პრეამბულა კვლავ შეიცავს მიმართვას „ღვთის“ მიმართ. შესწორებები არ შეიცავს დებულებებს ე.წ. „თავისუფლების აქტზე“ და მხოლოდ პრეამბულაში ჩანაწერით შემოიფარგლება, რომლის თანახმადაც, ქართველი ხალხის ნებაა „დაამყვიდროს ეკონომიკური თავისუფლება“.

ზოგადად, რესპონდენტების უმეტესობა იზიარებს მოსაზრებას, რომ აუცილებელია კონსტიტუციაში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების ასახვა. ასეთ უფლებებს მიეკუთვნება ადამიანის ინდივიდუალური უფლებები, როგორცაა: სიცოცხლის, საკუთრების, სიგყვის თავისუფლების და ნაკლებად ეხება სოციალურ და კოლექტიურ უფლებებს. კონსერვატორები, მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის, ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატიები, რესპუბლიკელები და ხალხის პარტია, ყველა მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებების თავი მოქმედ კონსტიტუციაში მისაღებია. კონსერვატორებმა, პარტიამ „თავისუფლება“, მოძრაობამ „სამართლიანი საქართველოსთვის“ და ეროვნულმა ფორუმმა განაცხადეს, რომ საქართველოს კონსტიტუციაში ის უფლებები უნდა დაიცვას, რომელიც გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციითა და (ახალი მემარჯვენეებისა და მოძრაობა სამართლიანი საქართველოს შემთხვევაში) ევროპის ადამიანის უფლებათა ქარტიითაა გათვალისწინებული. მემარჯვენეებმა დასძინეს, რომ კონსტიტუციაში უნდა შევიდეს მედიისა და სახალხო დამცველის საქმიანობის გამჭვირვალობისა და თავისუფლების“ გარანტიის მექანიზმები.

მხოლოდ ქალთა პარტია მიიჩნევს, რომ ე.წ. სოციალური უფლებები უნდა შევიდეს კონსტიტუციაში. ამ პარტიის განმარტებით, განათლებისა და ჯანდაცვის უფლება მოქალაქეს კონსტიტუციით უნდა მიენიჭოს და ამით პარალელს ავლებს შრომის უფლებებთან. რესპუბლიკელები, მიუხედავად იმისა რომ კმაყოფილნი არიან მოქმედი საკონსტიტუციო ჩანაწერით, მიიჩნევენ, რომ შეცვლილ კონსტიტუციაში რვა საათიანი სამუშაო დღე უნდა შევიდეს.

პოლიტიკური, რელიგიური, ეთნიკური და სხვა უმცირესობების ჯგუფების უფლებების კონსტიტუციაში ასახვაზე პარტიების მოსაზრებები მკვეთრად განსხვავდება. რესპუბლიკელები კონსერვატორები, ლეიბორისტები, მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“, ხალხის პარტია, ახალი მემარჯვენეები და ეროვნული ფორუმი, - ეს ყველა ჩამოთვლილი პარტია წინააღმდეგია უმცირესობების უფლებები კონსტიტუციით იყოს გათვალისწინებული. ახალი მემარჯვენეები მიიჩნევენ, რომ უმცირესობების უფლებები მოქმედი კონსტიტუციით უკვე დაცული იყო. რესპუბლიკელები ფიქრობენ, რომ კონსტიტუცია ისეთი სახით უნდა მოქმედებდეს რომ “ყველა უმცირესობის ჯგუფის კულტურული მითხონილებები დააყმაყოფილოს“. კონსერვატორების აზრით კი, უმცირესობების ინტეგრაცია კონსტიტუციური საკითხი სულაც არ არის. მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ეთანხმება მოსაზრებას, რომ უმცირესობათა უფლებების კონსტიტუციაში ასახვა საჭირო არ არის და ეს შესაბამისი კანონმდებლობის მეშვეობით უნდა წესრიგდებოდეს. ეროვნული ფორუმი და ხალხის პარტია, ორივე მათგანი უფლებებს ინდივიდუალურ კონტექსტში განიხილავენ და არა კოლექტიურში. ყველა პარტია იზიარებს აზრს, რომ კონსტიტუციაში საქართველოს ყოველი მოქალაქის უფლება თანასწორად უნდა დაიცვას, მათი რომელიმე უმცირესობის ჯგუფისადმი კუთვნილებისა და მიუხედავად.

იმ პარტიებს შორის, რომლებიც ემხრობიან უმცირესობათა უფლებების კონსტიტუციაში ასახვას, მხოლოდ ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატიებმა განაცხადა, რომ ყველა სახის უმცირესობები დაცულნი უნდა იყვნენ და ასეთი უმცირესობების დასახელება აუცილებელია. გრადიციონალისტები მიიჩნევენ, რომ რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებები „დაცული უნდა იყოს“. ისინი წინააღმდეგნი არიან სხვა სახის უმცირესობების უფლებების განსაზღვრაზე, თუმცა არ განმარტავენ რატომ. პარტია „თავისუფლება“ აღიარებს უმცირესობათა უფლებების დაცვის აუცილებლობას, მაგრამ ასევე დასძინს, რომ „უმცირესობები

